პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სამშაბათი 26 აგვისტო № 196 (17839)

ფასი 2 კაპ.

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

კასპის რაიონის ოკმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ოკმელები გულმოდგინედ ემზადებიან რთვლისათვის. მეურნეობას 800 ჰექტარი სრულმსხმოიარე ვენახი აქვს. 3350 ტონა ყურძენი — ახეთია მისი გეგმა-ვალდებულება.

ოკმის ბაღებში გაცხარებული ხილის კრეფაა. მეხილეებმა ვალდებულება იკისრეს მიჰყიდონ სახელმწიფოს 850 ტონა ხილი, რაც 30 ტონით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

● ●

სურათებზე: ხილის კრეფა მეხუთე განყოფილების № 13 ბრიგადაში, რომელსაც ხელმძღვანელობს იასინ აბაზოვი; მაცოცხლებელი წყალი — მინდვრებს.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რაიონული გაზეთი დიდი ძალაა

დეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებებზე სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული რეგიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარება. ამას თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება რაიონული გაზეთის ძალა და მნიშვნელობა. იგი პარტიული კომიტეტის უპირველესი თანაშემწეა ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვაში.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ქარელის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ რედაქციამ ორგანიზატორული და პროპაგანდისტული საქმიანობის ახალი გააქტიურებით, პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტისადმი ეურნალისტთა შემოქმედებითი მიდგომით უპასუხა. გაზეთი განაგრძობს და აძლიერებს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, რაც შესამჩნევად წინ სწევს რაიონის ეკონომიკას, რაზმავს მშრომელებს გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის. გაზეთმა, მაგალითად, გააცნო ქარელის რაიონის მშრომელებს გურჯაანელ მეცხოველეთა გამოცდილება, აგრეთვე ამაშელთა საქმიანობა. რედაქციის მუშაკი შორეული ესტონეთის ვილიანდის რაიონის მწყვანადებაც ეწვია და მალე იწყო მოწინავეთა სასარგებლო გამოცდილებებზე წერილების მთელი სერიის ბეჭდვა. ეს — შორიდან გადმოღებული გამოცდილება. მაგრამ შინაც ხომ შეიძლება ძვირფასი თაოსნობის პოვნა. და აი, გაზეთი თავიანთ 7 აგვისტოს ნომერში მთელ ნომრს უძღვნის ბებნისის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა მიღწევებს.

„მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სათანადო გადაწყვეტილების შესაბამისად, უფრო აქტიურად და გეგმაზომიერად ხელმძღვანელობენ ადგილობრივ პრესას პარტიის რაიონული კომიტეტები. ამის კარგ მაგალითს იძლევა თელავის პარტიული ორგანიზაცია, რაც აღბეჭდილია „ალაზნის განთიადის“ შემოქმედებითს, ოპერატიულ მუშაობაში. უთუოდ პარტიული კომიტეტების ქმედითი დახმარების შედეგია, რომ სოხუმისა და ხელვაჩაურის რაიონების მშრომელები ინტერესით ეწაფებიან თავიანთი რაიონული გაზეთების „კომუნისტური შრომისა“ და „ოქტომბრის გზით“ ყოველ ახალ ნომერს.

ცხოვრება, რომ იტყვიან, დუღს და ჩქეფს ქალაქ ზუგდიდსა და მის რაიონში. რეგიონი ინდუსტრიულიც გახდა და სოფლის მეურნეობაც მძლავრი აქვს. ასეთი ქალაქისა და სოფლის, მათი მშრომელების კარგი მესიტყვეა გაზეთი „მებრძოლი“.

ქალაქ გორისა და გორის რაიონის მჩქეფარე ცხოვრებას მართლად და სანტერესოდ აშუქებს გაზეთი „გამარჯვება“. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია მაზარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“.

ამასთანავე რესპუბლიკის ყველა რაიონული გაზეთის მუშაობა როდი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებსაც მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს უყენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. მართალია, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა, მეათე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის აქტიურად რაზმავს მშრომელებს გარდაბნის რაიონული გაზეთი „სამგორი“, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აქვეითებს მკითხველზე ზემოქმედების ძალას და პუბლიკაციების ქმედითობას. პარტიული პუბლიცისტიკის წამყვან ყანრად გაზეთში სამართლიანად ითვლება მოწინავე წერილი. იგი ტონს ანიჭებს გაზეთის, მართებულად იწოდება ალმად. მაგრამ აი, გაზეთი „სამგორი“ ამას როგორღაც უგულებელყოფს — მოწინავე იშვიათად გამოჩნდება, ხოლო თვიდან თვემდე გამოქვეყნებულიც, ზერელე და ზოგადია, ფაქტობრივად ვალის მოსახდელად მზადდება. ამასთან გაზეთი სუსტად აშუქებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ერიდება მწვავე პუბლიკაციებს, შეჯიბრების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებულ ფორმალიზმს, ვერ სახავს მათი აღმოფხვრის გზებს. მრავალეროვანი რეგიონის ამ გაზეთში ინტერნაციონალური მეგობრობის თემა სისტემატიზებული არ არის და შემთხვევითი ხასიათი აქვს. გაზეთი ბოლომდე ვერ არის პრინციპული თავის გამოსვლებში.

რაიონის კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაზე, მწვავე პრობლემებისა და საჭირბოროტო საკითხების დაყენებისათვის თავის არიდებაზე, პუბლიკაციების უღიმღამობასა და ზერელობაზე მიუთითებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი შარშან თავის ცნობილ დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად რაიონული გაზეთების მუშაობისა და ადგილობრივი პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების თაობაზე.

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება რესპუბლიკა, რომ ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაფუძნების მე-60 წლისთავს. ამ დიდი მოვლენების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო და უფრო ფართოდ შლის ფრთებს, ეუფლება მშრომელთა სულ უფრო ფართო მასებს. საამშობლოს საკეთილდღეო, მშობლიური კომუნისტური პარტიის სადიდებელ შრომაში ჩნდება ახალი თაოსნობანი და ინიციატივები. რაიონული გაზეთი რეგიონში მშრომელთა ამ პატრიოტული მოძრაობის მძლავრი ფრთები უნდა იყოს, რაზმავდეს, აღანთებდეს ადამიანებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

ბეჭდვითს სიტყვას ძალუძს ეს, როცა იგი სიმართლით, პარტიული პუბლიცისტურობით არის გამთბარი. ამ დიდ ამოცანას გაზეთი ვერ გადაწყვეტს მხოლოდ მცირერიცხოვანი სარედაქციო აპარატით, თუ მუშაობაში ფართოდ არ ჩაება მუშსოფლკორთა აქტივი. აი ვის მართებს, რედაქციის მხარდაჭერითა და დახმარებით, ცხოვრების შუაგულიდან აშოიტანოს მართალი სიტყვა — მუშა, ფლეხ, ინტელიგენტ კორესპონდენტს.

ჩვენი პრესის საქმიანობაში მუშსოფლკორთა მოძრაობის თვალსაჩინო ადგილსა და ამოცანებზე იყო დიდი ხმა-ბაასი სულ ახლახან ქალაქ ქუთაისში გამართულ რესპუბლიკურ შეკრებაზე. ყოველი რაიონული გაზეთის რედაქცია ძლიერია თავისი ფართო აქტივით, უძლურია — მარტო სარედაქციო აპარატი. აი რას უნდა მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება.

რაიონული გაზეთი მუდამ ღირსეული თანაშემწე და თანამებრძოლი უნდა იყოს პარტიული კომიტეტის რთულსა და პასუხსაგებ პოლიტიკურ თუ ორგანიზატორულ მუშაობაში, და პარტიული კომიტეტი მუდამ უნდა ზრუნავდეს თავისი ასეთი აქტიური, მებრძოლი და ქმედითი თანაშემწისათვის.

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ამ დიდად პასუხსაგებ პერიოდში რაიონულმა გაზეთებმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა და ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ეფექტიანად გამოვიყენოთ ვაგონები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაინიხილა სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივებს შორის მისასვლელ გზებზე სატვირთო მუშაობის უკეთ ორგანიზაციის, რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის გაჩაღებული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მთელი რიგი უწყება-სამინისტროები, აგრეთვე რესპუბლიკის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები განხორციელებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა მეოხებით გარკვეულ წარმატებებს აღწევენ ამ შრომითი მეტოქეობის პროცესში.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე მათი ეფექტიანი გამოყენების კარგ შედეგებს მიაღწიეს ბათუმის ცენტრალური ტვირთგადასაცლელი ნავთობბაზისა და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის ნორმის შესრულება, ბაანაღდეს თითოეული ვაგონის სტატიკური დატვირთვის დავალება, დადაჭარბებით შეასრულეს დატვირთვის გეგმა ვაგონებითა და ტონნებით, უზრუნველყვეს ვაგონების სრული გადმოტვირთვა, გაწმენდა და დაცვა-შენახვა, აგრეთვე მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება.

მიღებულ დადგენილებაში აგრეთვე აღინიშნულია, რომ მთელმა რიგმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და სამინისტროებმა დაუშვეს ვაგონების გამოყენების გაუარესება, გაზარდეს სატვირთო ოპერაციების განმავლობაში მათი მოცდენის დრო განსული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ასეთ საწარმოთა შორის არიან „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანება, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „საქმეორეულლითონი“, სასოფლო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხორციანა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და ა. შ.

თუ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო საწარმოთა მისასვლელ გზებზე ვაგონების მოცდენა 0,2 საათით შეამცირეს, მეორე კვარტალში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუარესდა. ამ პერიოდში ვაგონების მოცდენა შეადგენს 5,4 საათს ნორმით გათვალისწინებული 4,1 საათის ნაცვლად.

მეორე კვარტალში იმატა აგრეთვე იმ სამინისტროებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა რიცხვმა, რომლებმაც ვაგონების გამოყენების გაუარესება დაუშვეს.

მეორე კვარტალის მუშაობის შედეგები მოწმობს, რომ საჭიროა სამინისტროებმა, უწყებებმა, აგრეთვე დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა გადაჭრით გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა, რათა გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ვაგონების მოცდენის შემცირებისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის შემცირებისა და მისასვლელ გზებზე მათი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობის შესახებ“.

სამინისტროები და უწყებები პროფკავშირის დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად არ განხილავენ იმ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, რომელიც გაჩაღებია ლენინგრადის, ბაკურიანი, ბორჯომი, ფოთი, ზუგდიდი

ᲓᲘᲐᲓ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲐᲗᲐ ᲮᲐᲜᲐ

(დასასრული)

თანამედროვე სამრეწველო საწარმო, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ყაზახეთი — ეს არის ათასობით მეცნიერი და კულტურის ზოლვაზე, რომელთა შემოქმედებას ღირსეულად აფასებს მთელი საბჭოთა ხალხი".

იმას, რაც სამოცი წლის მანძილზე მოხდა ყაზახეთში, ისევე, როგორც სხვა მომე რესპუბლიკებში, სამართლიანად "სასწაულს" უწოდებენ. მაგრამ ეს სასწაული ბუნებრივია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იმ ურთიერთობისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა. სსრ კავშირის ხალხთა დიადი ერთიანობის ნაყოფი, ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი და გარდამქმნელი ძალა, მკაფიოდ მოჩანს ყაზახეთის სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა სფეროში, სადაც მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ და მხარდამხარ შრომობენ ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

საბჭოთა ყაზახეთი თავისი 60 წლისთავის წელს აწარმოებს ხუთჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე აწარმოებდნენ მთელ რევოლუციამდელ რუსეთში. ამ მაჩვენებლის, აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავების, ბევრი სხვა მაჩვენებლის მიხედვით რესპუბლიკას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მნიშვნელოვნად განვითარდა ფერადი და შავი მეტალურგია. ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ნავთობის, ქვანახშირის, ქიმიური, მსუბუქი, კვების და მრეწველობის სხვა დარგები. მარტო მეათე ხუთწლედის წლებში მწყობრში ჩადგა 200-ზე მეტი ახალი საწარმო, დიდი წარმოება და საამქრო.

ყაზახეთი გიგანტურ სამშენებლო მოედნად გადაიქცა. ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე აქ 88,6 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებანი აითვისეს. რესპუბლიკა იცვლის ინდუსტრიულ და აქტიქმეურულ იერსახეს, წლითიწლითით მშენდება. მტკიცდება მისი ეკონომიკური პოტენციალი: სრული სვლით მიმდინარეობს ეკიბასტუზისა და ყაირმის, მანგიშლაყისა და ყარათაუს, რესპუბლიკის ბევრი სხვა რაიონის სამდიდრეთა ათვისება.

დიდი წარმატებებია მოპოვებული პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. პარტიისა და ხალხის შესანიშნავი მიღწევებიც მატიანეში ბრწყინვალე ფურცლად შევიდა ყაზირის ეპოპეა. ჩვენ ვამაყობთ, რომ ყაზირი და ნასკვნი მიწების ათვისების წლებში ყაზახეთის კომპარტიის სათავეში ედგა პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ყაზირის გიტეხვის შედეგად მოკლე ვადაში სამეურნეო ბრუნვაში მოექცა 41,8 მილიონი ჰექტარი მანამდე გამოუყენებელი ნაყოფიერი მიწა, მათ შორის 25,4 მილიონი ჰექტარი ჩვენს რესპუბლიკაში. თითოეულ მოხსენულ ჰექტარზე, ყაზირის ყანებში მოწეულ თითოეულ თაეთავში არის ყველა მოძმე რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის წვლილი.

ყაზახეთის ყაზირი წლითიწლობით ღონეიერდება. მარტო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა სახელმწიფოს სამჯერ ჩაბარეს მილიარდ — მილიარდი ფუთი პური.

მეურნეობებში განუხრელად იზრდება პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. რესპუბლიკის მეცხვარეებმა წელს პირველად მიიღეს 17 მილიონი ბატკანი. ხორციელდება მეცხოველეობის გადაყვანა სამრეწველო საფუძველზე.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისა და 1979 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ყაზახეთის სს რესპუბლიკას მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკამ გაიმარჯვა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაჩაღებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

„სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ყველა შრომითს კოლექტივები. აღმშენებლობითი საქმიანობის ფართო გაქანება ჩანს ყველაფერში — რესპუბლიკის ეკონომიკის დიდმასშტაბიან და დინამიკურ განვითარებაში, მისი მშრომელების შესანიშნავ მიღწევებში, რომლებიც იბრძვიან ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე გადაშლილია აღმშენებლობითი შრომის ახალი ჰორიზონტები. ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის მე-60 წლისთავს აღნიშნავენ შრომლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, დარწმუნებულ ნ ი, რომ ხვალინდელი დღე ახალ შესანიშნავ წარმატებებს მოუტანს კომუნისტურ მშენებლობაში.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲘᲠᲡᲒᲔᲣᲚᲗ

თვალსაჩინო პროექტების ავტორებს და ამ პროექტების მიხედვით საწარმოთა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის მონაწილე სპეციალისტებსა და მუშებს ყოველწლიურად ენიჭებათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია. წელს ეს დიდი პატივი წილად ხვდა ჩვენი რესპუბლიკის ბევრ წარმომადგენელს.

საქართველოს სსრ საავტომშენებლო გზების სამინისტროს საინჟინრო კორპუსის დაპროექტებლა და მშენებლობისათვის პრემია დაბასახურეს პროექტის ავტორმა, რესპუბლიკის საგზაო მშენებლობა გზების მინისტრის მოადგილემ **ვ. ჩხუბანიამ**, ამავე სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების გამგემ **შ. ჯალალანიამ**, სამინისტროს „კომბინატგზირაბხიდმშენნდუსტრიის" მემონტაჟეემ **გ. აბრამიშვილმა**, ამავე კომბინატის ელექტროშემდუღებელმა **ს. პუზანჩევმა**, სამინისტროს თბილისის საცდელ-ექსპერიმენტალური ქარხნის დირექტორის მოადგილემ **ა. ლოლუამ**, სამინისტროს ექსპერიმენტალური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ზონალური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგემ **ა. კიმბერგმა**, ამავე ინსტიტუტის დირექტორმა **ო. თუხარელმა**, ინსტიტუტის ყოფილმა მთავარმა კონსტრუქტორმა **თ. თხილავამ**, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ორგტექმშენის ტრესტის განყოფილების გამგემ **ო. ყანჩელმა**.

ბ. ე. ვედენეევის სახელობის ჰიდროტექნიკის საკავშირო კვლევითს ინსტიტუტში დამუშავდა და წარმატებით დაინერგა წარმოებაში ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მეთოდი, რომელიც ბიტუმის ემულსიური მასტიკის გამოყენების საფუძველზე ხორციელდება. ამ სიახლის ერთ-ერთი ავტორია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის „საქშახტპროექტის" ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **რ. ტყემალაძე**. მასაც წილად ხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია. („**კომუნისტის**" **კორ.**).

ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(დასასრული)

შემდეგ სტუმრები ეწვივნენ გურჯაანს. ამ რაიონის მეურნეობებში, რომლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წელს 120 ათასი ტონა ყურძენი დაამზადონ, გაიმართა შეხვედრები და საუბრები მუშებთან და კოლმეურნეებთან. მათ დაათვალიერეს სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები, მისცეს მშრომელებს კონკრეტული რჩევა-დარიგება იმ რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებისათვის, რომლებიც ყოველ მეურნეობას აქვს რთველის ორგანიზებული მოწყობის უზრუნველსაყოფად. ისინი დაინტერესდნენ, თუ როგორია სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობები, მოსახლეობის კულტურული, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურება, აღნიშნეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ამ მხრივ არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

თელავში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მ. პ. გიორგაძის შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან. თელაველებთან ერთად თეატრის შენობაში შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, კახეთის ყველა იმ რაიონის მშრომელი ინტელიგენცია, რომლებიც № 664 გურჯაანის საარჩევნო ოლქში შედის. აქვე იყვნენ ამხანაგი პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრა გახსნა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვ. კობაძემ. მეათე ხუთწლედის წლებში და მის დამამთავრებელ წელს კახეთის მშრომელთა საქმეებისა და მიღწევების, იმ დიდი პოლიტიკური აქტივობის შესახებ, რომლითაც ეგებებინან ისინი სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ნ. მ. ქორთუამ, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ა. გ. გავაშელმა, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის მევენახეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა მ. გ. ღვედაშვილმა, ახმეტის რაიონის ოყოის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ვ. თეკლიაშვილმა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ა. უტიაშვილმა.

ყველა გამოსულმა ამხანაგმა მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ილაპარაკა პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობაზე. მათ ხაზი გაუსვეს, რომ მზად არიან კვლავაც მოახმარონ მთელი თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და ენერგია მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმეს, ხალხის სამსახურს, ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მ. პ. გიორგაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით მან შეხვედრის მონაწილეებს, ყველა კახელ მშრომელს უსურვა წარმატება ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა მ. პ. გიორგაძემ, — წარმატებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განსახორციელებლად. პარტიის მორიგი ყრილობის წინ ჩვენს ხალხს ბევრი რამ აქვს საამაყო. მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით ქვეყანა წარმატებით დაწინაურდა კომუნისტური აღმშენებლობის ყველა მიმართულებით.

შეეხო რა სკკპ XXV ყრილობის შემდგომ პერიოდში ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი შედეგს, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური ეკონომიკის ზრდა დადებითს გავლენას ახდენს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაზე. ხუთწლეულში 17 პროცენტით გაიზრდება რეალური შემოსავალი ერთ სულ შოსახლეზე გაანგარიშებით. ქვეყნის მშრომელები ხუთ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის საცხოვრებელ ბინებს მიიღებენ.

ქვეყნის საშინაო განვითარების საკვანძო საკითხებზე მკაფიო პასუხი, თანამედროვე მსოფლიო ვითარების ღრმა და ყოველმხრივი მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, თქვა შემდეგ მ. პ. გიორგაძემ, მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებაში.

შემდეგ იგი შეეხო ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას და ილაპარაკა იმ დიდ ღონისძიებებზე, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა აბორიგელებენ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის, განიარაღებისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობა, თქვა მან, მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარებას და მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას და ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმური მეგობრობის დამკვიდრებას, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას. საგანგებოდ აღინიშნა ის უთვალსაჩინოესი წვლილი, რომელიც ლენინური საგარეოპოლიტიკური კურსის განხორციელებაში შეაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

დასასრულ მ. პ. გიორგაძემ აღნიშნა საქართველოს მშრომელთა მიღწევები, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უეზადებენ სკკპ XXVI ყრილობას. კერძოდ აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება ხუთწლეული დავალებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მთელი კომპლექსის მიხედვით. მნიშვნელოვანი გასწრებით შესრულდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების, საცალო საქონელბრუნვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი პარამეტრების ზრდის ტემპის ოთხი წლის დავალება. 1979 წელს საქართველომ ქვეყანაში მესამე ადგილი დაიკავა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის მიხედვით, მეორე — მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპის მიხედვით, მესამე—სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მიხედვით. ორატორმა აღნიშნა, რომ კახეთის რაიონების უხვი მოსავლის ოსტატებს დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის წარმატებებში და უსურვა მათ ახალი შესანიშნავი მიღწევები შრომაში, ბედნიერება ცხოვრებაში. (საქინფორმი).

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ დაიწყოს საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვული იარაღის საკითხის განხილვა ამერიკის მოწინავე ბაზრების ბირთვული რაკეტების საკითხთან ერთად და მასთან ორგანული კავშირით. განაცხადა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა. მან სიტყვა წარმოთქვა სადილზე, რომელიც გაუმართეს აქ სახელმწიფო ვიზიტად ჩამოსულ ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტს კენეტ კაუნდას.

შესაძლო მორიგებათა რეალიზაცია, აღნიშნა ე. ჰონეკერმა, გზას გაგვიხსნიდა იმ დაბრკოლებათა აღსაკვეთად, რომლებიც ნატოს ბრიუსელის სესიამ შექმნა თავისი „სარაკეტო გადაწყვეტილებებით" დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისადმი ხალხთა მისწრაფების მიუხედავად. ამასთან აუცილებელია, რომ ძალამოსილად გამოცხადდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ქვეყნად მშვიდობა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური საკითხი გახდა, უფრო სტაბილური და მტკიცე იქნება, თუ განხორციელდება რეალური შემბრუნება განიარაღებისაკენ თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, თქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა. მან ხაზი გაუსვა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლონეთის დედაქალაქში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის წინადადებებს.

აზლანდელი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს, რომ გაქტიურდეს პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული მეცადინეობა, რომლის მიზანია ამხილონ იმპერიალისტური და ჰეგემონისტური წრეების გეგმები, რომლებიც კონფრონტაციის პოლიტიკას ახორციელებენ.

ე. ჰონეკერმა მხარი დაუჭირა ზამბიის მეუმხრობლობის პოლიტიკას, რომელიც იღვწის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, ახალი თანასწორუფლებიანი ეკონომიკური უფლების დამყარებისათვის.

საპასუხო გამოსვლაში კენეტ კაუნდამ მადლობა მოახსენა სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას უწევენ აფრიკის ხალხთა სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას. მან განაცხადა, რომ აფრიკის პროგრესულ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ნეოკოლონიალიზმის უღლისაგან მთელი კონტინენტის განთავისუფლებისათვის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ.

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ვარშავა, 25 აგვისტო. როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, აქ გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოისმინეს ინფორმაცია პოლონეთში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ინფორმაცია გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. კანიამ.

პლენუმზე გამოსულმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გიერეკმა გააანალიზა ქვეყნის საკვანძო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, აგრეთვე განსაზღვრა პარტიის მთავარი ამოცანები ამ დარგში.

პლენუმმა მიიღო დადგენილება ორგანიზაციული საკითხების გამო. პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა ე. ბაბიუხი, ე. ლუკაშევიჩი, ი. შიდლაკი, ტ. ვეაშჩიკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთა შემადგენლობიდან — ტ. პიკი და ზ. ჟანდაროვსკი.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობიდან გამოიყვანა ე. ლუკაშევიჩი, ი. პინკოვსკი და ზ. ჟანდაროვსკი.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად აირჩია ს. ოლშოვსკი და ი. პინკოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად — ე. ვაშჩუკი და ა. ჟაბინსკი.

პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ს. ოლშოვსკი და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად — ე. ვაშჩუკი და ა. ჟაბინსკი.

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲚᲔᲑᲐ

ᲙᲘᲩᲝ. ლათინური ამერიკის ადამიანის უფლებათა ასოციაციამ ლათინური ამერიკის ქვეყნების კონსტიტუციურ მთავრობებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა მათ დიპლომატიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქციონ ბოლივიის სამხედრო რეჟიმი, რომელმაც გათელა დემოკრატიული თავისუფლებანი ქვეყანაში. ასოციაციაა ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა მთავრობებს მოუწოდებს კანონიერ პრეზიდენტად და ვიცეპრეზიდენტად აღიარონ ე. სილეს სუასო და ხ. პასა სამორა, რომლებმაც გაიმარჯვეს საყოველთაო არჩევნებში.

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲒᲐᲛᲪᲔᲗᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ვიენტიანი. როგორც ლაოსის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 19 აგვისტოს მდინარე მეკონგზე ბანდიტურად დაესხნენ თავს ლაოსის ოთხ სატრანსპორტო გემს. თავდასხმელებმა გემებზე არსებული სურსათი და სხვა ტვირთი ხელთ იგდეს, ხოლო მათი ეკიპაჟების წევრები მძევლებად წაასხეს. თავდასხმის დროს ლაოსის გემის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი მოკლეს.

ყაჩაღობის ამ აქტის გამო ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლაოსში ტაილანდის საელჩოსათვის გაგზავნილ საპროტესტო ნოტაში აღნიშნა, რომ ლაოსის გემებზე თავდასხმები საფრთხეს უქმნის ლაოსის უშიშროებასა და სუვერენიტეტს, ხელს უშლის ტაილანდის მოსახლეობასა და ლაოსის სოფლების მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას, დაძაბულობას ქმნის ორი ქვეყნის საზღვრებზე.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ლაოსისადმი მტრული მოქმედება და განაცხადა, რომ ტაილანდს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალური და მორალური ზარალისათვის.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

● **ᲑᲝᲜᲜᲘ.** დიუსელდორფში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ჰ. მისი და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი რ. ჩანდრა. საუბრის დროს ისინი შეეხნენ მშვიდობისათვის ბრძოლის აქტუალურ საკითხებს.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უძველესი გაზეთის — „ლონდონის „ტაიმსის" ეუფნალისტებმა გაფიცვა გამოაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ადმინისტრაცია უარს ამბობს დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები ხელფასის მომატების შესახებ.

● **ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ.** ამერიკის საავტომობილო მშენებლობაში კრიზისი კვლავ მწვავდება. წარმოების მოცულობა 1970 წლის დონემდე, უმოქმედოდ არის ათობით ასწყობი ხაზი, დაახლოებით ბევრი საწარმო. უმუშევარ ავტომობილმშენებელთა არმია უკვე 310 ათასს აღემატება.

ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲣᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 25 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების გამალებული შეიარაღება, ახალი ბირთვული სტრატეგია, ნატოს გადაწყვეტილება — დასავლეთ ევროპაში განალაგოს საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები—დიდ საშიშროებას უქმნის მშვიდობას. ეს განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრთა ჯგუფმა პრესკონფერენციაზე, რომელიც მაინის ფრანკფურტში გაიმართა მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხთა მსოფლიო პარლამენტის მომზადებასთან დაკავშირებით, რომელიც 23-27 სექტემბერს გაიმართება სოფიაში.

პრესკონფერენციაზე გამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი რომეშ ჩანდრა.

ᲣᲮᲐᲛᲡᲘ ᲪᲓᲔᲑᲘ

დელი. ინდოეთის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკის სპეციამსახურები განუწყვეტლივ ცდილობენ ინდოეთში ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლობანი გამოიყენონ ანტისაბჭოური პროპაგანდის გაღვივებისათვის, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ტრადიციული მეგობრობის შერყევისათვის.

როგორც ინდოეთის „სენტრალ ნიუს სერვისის" სააგენტო იუწყება, ერთ-ერთ ასეთ ცდას ამ დღეებში მიმართეს მადრასში. ამერიკის საკონსულოს თანამშრომლები შეეცადნენ მოეწყოთ აქ ფილმების გასინჯვა, რომლებიც შეიცავენ უხეშ მონაჩმახებს საბჭოთა კავშირისა და აფღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ. მაგრამ ქალაქის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი შეუშალეს ცილისმწამებლებს და ჩაშალეს ეს პროვოკაციული წამოწყება.

ინდოეთის საზოგადოებრიობა მოითხოვს აღკვეთონ ანტისაბჭოური პროპაგანდის ბინძური მიზნით ინდოეთის გამოყენების ცდები, რასაც მომართავენ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობა მტკიცედ უჭერს მხარს ნამიბიელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. მიმდინარე წლის მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს ალჟირში გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოს საგანგებო სესიაზე მიიღეს დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, რომელშიც დაგმობილია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის და დასავლეთის კოლონიალისტური ქვეყნების პოლიტიკა ნამიბიის მიმართ.

აი, უკვე 60 წელია გრძელდება სამხრეთაფრიკელთა ბატონობა ნამიბიაში და შეიძლება ითქვას, მთელი ამ ხნის განმავლობაში ტანჯვისა და წამების მეტი არაფერი მოუღია ნამიბიელ ხალხს. მას შემდეგ, რაც 1920 წელს გერმანელი კოლონიზატორები შეცვალეს სამხრეთ-აფრიკელმა რასისტებმა, რომლებმაც ნამიბიის მმართველობის მანდატი მიიღეს, დაიწყო ქვეყნის არნახული, მხეცური ძარცვა-გლეჯა. ნამიბიელებს ჩამოერთვათ ყველა უფლება. რასისტული წესები და კანონები გავრცელდა მთელ ქვეყანაში. მკვიდრი მოსახლეობისათვის იქმნებოდა სპეციალური რეზერვაციები. ძალაში შევიდა მრავალი რეპრესიული კანონი.

იმის გამო, რომ სამხრეთაფრიკელი რასისტების აღვირახსნილი მოქმედება არ შეესაბამებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1966 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ჩამოართვა ნამიბიის მმართველობის უფლება, მაგრამ პრეტორიამ უარყო ეს სამართლიანი გადაწყვეტილება და ნამიბიაში სოფუპაციონ რეჟიმი დაამყარა.

ნამიბიელი ხალხი იარაღით ხელში აღდგა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში სათავეში ჩაუდგა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია (სვაპო).

მიუხედავად იმისა, რომ პატრიოტთა წინააღმდეგ იბრძვის პრეტორიის სამოცდაათათასიანი არმია, რომელიც ნატოს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არის შეიარაღებული, სამხრეთ აფრიკელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი ბატონობის დღეები დათვლილია. ამიტომაც ცდილობენ ისინი მდგომარეობის მოგვარებას ნეოკოლონიალისტური გზით. სწორედ ამიტომ დასჭირდათ მათ 1978 წლის „არჩევნები" და მარიონეტული „მთავრობის" შექმნა.

როგორც უნდა უჭერდნენ მხარს ამერიკისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მილიტარისტული წრეები პრეტორიის რეჟიმს, ამაოა სამხრეთაფრიკელთა ყოველი ცდა ნამიბიაში თავიანთი ბატონობის შენარჩუნებისათვის. კეთილი ნების ადამიანებს სწამთ, რომ ნამიბიელი ხალხი გაიმარჯვებს სამართლიან ბრძოლაში, რომ რასისტულ-იმპერიალისტური შეთქმულება იმთავითვე განწირულია.

სამხრეთაფრიკელი რასისტები მკაცრად უსწორდებიან თავისუფლებისთვის მებრძოლ ნამიბიელ ხალხს. დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობენ პრეტ

დ ა ვ ე უ ფ ლ ო თ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა ს!

ლენინურ დამკვრელურ წელს „ამომეფოთ ყველა რეზერვი!“ ასეთი დევიზით შრომობს ამ [illegible]ებში თბილისის პირველი მა[illegible]ის სახელობის სამკერალო ფა[illegible]ის კოლექტივი, რომელიც [illegible]ზადება სკკპ XXVI ყრილობისა [illegible] საქართველოს კომპარტიის [illegible]XVI ყრილობის ღირსეულად [illegible]დრისათვის. დიდ მუშაობას [illegible]ევენ სახალხო კონტროლის [illegible]ებები და სოციალისტური [illegible]ბა, რომ [illegible]ბიც საწარმოს პარტიული ორ[illegible]ზაციების ხელმძღვანელობით [illegible]ორციელებენ თავიანთ ფუნქციებს.

საქართველოს კომპარტიის ცენ[illegible]ალური კომიტეტის მიერ მო[illegible]ნებული ფაბრიკის სახალხო [illegible]ტროლიორთა გამოცდილება [illegible]ეო საფუძველად თამბირ-სი[illegible]ის მუშაობას, რომელიც [illegible]წარმოს ბაზაზე ჩამოაყალიბეს [illegible]ართველოს სსრ სახალხო კონტ[illegible]ოლის კომიტეტმა და რესპუბ[illegible]ის მსუბუქი მრეწველობის სა[illegible]ნტრომ. თამბირ-სიმინარში [illegible]ეწეოლეობდნენ სახალხო კონ[illegible]ოლის ჯგუფების თავმჯდომა[illegible]ები, პირველადი პარტიული [illegible]ანიზაციების ხელმძღვანელე[illegible] და მდივნები, ამ დარგის სა[illegible]რმოთა კომკავშირული „პრო[illegible]ჟიტორისტები“, აგრეთვე მთელი [illegible]რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების მრეწველობის შტატგარეშე განყოფილებების გამგეები.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების, მათს წარმატებით გადაწყვეტაში სახალხო კონტროლიორთა როლის შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. პ. გამცემლიძემ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგემ ი. დ. სულაბერიძემ.

თამბირ-სიმინარის მონაწილეებმა თავიანთ მოხსენებებსა და გამოსვლებში ილაპარაკეს, რომ საჭიროა სახალხო კონტროლიორთა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გააქტიურონ მუშაობა სახელმწიფო საგანგო დავალების შესრულების კონტროლის განხორციელებაში, წარმოების ზრდის რეზერვების გამოძებნის და მისი ეფექტიანობის პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. (საინფორმო).

●●

სუსხიანი სტრიქონები ▭ სასკოლო

მუშეებლობა დამკვრელური უბანია

ლაფში ჩაფლული ურემი...

ფერხდება თეთრი წყაროს 128-ე სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მუშეებლობა

თეთრ წყაროში წლევანდელი [illegible]ფლის თაკარა აგრერიგად არ [illegible]ძინობა — შედარებით გრილა, [illegible]რამ აქაც კი, რა თქმა უნდა, [illegible]ილში თავშეფარება სჯობს მზის [illegible]ზე ყოფნას. ჰოდა, ეს ცხოვრე[illegible]ული ჭეშმარიტება შესაშური [illegible]ლოდგანებით დაუნერგავთ [illegible]ექტიკაში 128-ე სოფლის სა[illegible]ალო პროფესიულ-ტექნიკური [illegible]წავლებლის მუშეებლებს. კა[illegible]ტოზი თუ შემდუღებელი, დუ[illegible]ალი თუ მებათქაში, მეარმატუ[illegible] თუ მებეტონე, ერთი სიტყ[illegible], უკლებლივ ყველა, ტოტებ[illegible]არჯღული ბუხის ძირას მხარ[illegible]ძინე წამოწოლილიყო და სი[illegible]ებლით ტკბებოდა. საათს და[illegible]ედ — შესვენებამდე კარგა [illegible]ინანი დროა დარჩენილი, არა[illegible] უქმეც არ არის, სამშაბათია.

— მასალებს ველოდებით, სა[illegible]ეო არაფერი გვაქვს! — ამიხ[illegible] ერთმა და ნამჩინარევი თვა[illegible]ი მოიფშვნიტა, ჩვენს სალამ[illegible]ში გაღვიძებოდა.

— დიდი ხანია?

— მეორე დღეა!

[illegible]ს იყო 12 აგვისტოს — პირვე[illegible] სექტემბრის ზარამდე ცხრაშა[illegible] დღით ადრე. იქნებ საჩქარო [illegible]საპაიჭო არაფერია. იძინოს [illegible]ხლმა ჩრდილში, მასალების [illegible]ტანამდე, რას ვერჩით? საქმეც [illegible] არის, რომ დღეს წამოწოლის [illegible]არა, რომ იტყვიან, თვითონ მო[illegible]ზანი დრო არ უნდა ჰქონდეთ [illegible]ორი წყაროს 128-ე სასწავლებ[illegible] კომპლექსის მშენებლებს: [illegible]ოლოდ 2,5 სართულამდეა ამო[illegible]ილი ოთხსართულიანი სასწა[illegible]ო კორპუსის კედლები, პირ[illegible] სართულამდე — საყოფაცხ[illegible]ებო ბლოკისა, ხოლო საწარ[illegible]ო კორპუსი—ზედა სართული. [illegible]ადერთი — მოსწავლეთა სა[illegible]ო საცხოვრებლის მონტაჟია [illegible]თავრებული, და ისიც ჯერ [illegible] გადახურულია და არც მო[illegible]ჭაშებული (იატაკის დაგებაზე [illegible] გათბობისა და სანტექნიკის [illegible]ლის მოწყობაზე რომ არაფერი [illegible]ვათ), ამას გარდა: დასამთავ[illegible]ელია მისასვლელი გზა, გასა[illegible]ია წყლის, კანალიზაციის და [illegible]ექტროენერგიის გარეშესელები, [illegible]ილმოსაწყობია ეზო... ვერ ჩა[illegible]ელი ყველაფერს, რაც 1 სექ[illegible]ბერს უნდა იდგეს მწყობრში, [illegible]ლაფერ — 2172 ათასი მანე[illegible] საერთო სახარჯთაღრიცხვო[illegible]ნტაჟი ღირებულების - სამუ[illegible]ებიდან დღეისათვის დარჩე[illegible]... 619 ათასი მანეთის საქმეს!

[illegible]ა აი, ასეთ ფონის, ერთი ხალ[illegible]ი ლექსის შავდრუნჩოა „გმი[illegible]“ არ იყოს, რომელსაც „ლა[illegible] ჩაფლული ურემი შინ მიტა[illegible] ჭგორნი“, ხალხი ჩრდილში [illegible]აობს და განცხრომას მისცე[illegible] არ არის ცემენტი, აგური, ხე[illegible] და ხის ნაკეთობანი, რკინა[illegible]ონის გადასახურავი ფილები, [illegible]ატერა, კონსტრუქციები, ინე[illegible]ული მასალები, მექანიზმები, [illegible]ნსპორტი... ბოლომდე ყველა[illegible] ვერც აქ ჩაშოთვლი! ალ[illegible] უმჯობესი იქნებოდა — გვე[illegible] — არა აქვთ არაფერი!

[illegible] სასწავლებლის აგება 1978 [illegible]ს დაიწყო საქართველოს სა[illegible]ლო მშენებლობის სამინისტ[illegible] მარნეულის მე-6 ტრესტის [illegible]რთველი ა. გაწერელია) 71-ე [illegible]ოა მექანიზებულმა კოლო[illegible]იგი 600 მოსწავლისათვის [illegible] გათვალისწინებული და სა[illegible] ორგანიზაციის „საქმელიო[illegible]ალმშენის“ მთავარი სამმართ[illegible]ოსათვის მოამზადებს ფართო [illegible]ფილის ტრაქტორისტებს, ექ[illegible]ატორისა და ბულდოზერის [illegible]ნებს, შემკეთებელ ზეინ[illegible]ებს, მესამე კლასის ავტომძღო[illegible], მეფრინველეობის ფაბრი[illegible] და ქარხნების ოპერატო[illegible]. სახალხო მეურნეობისათვის [illegible]ე საჭირო სპეციალობებია! [illegible]ომაც გამოყო ამ სასწავლებ[illegible]ასაგებად „საქმელიორწყალ[illegible]“ თითქმის 2,5 მილიონი [illegible]ი. 71-ე მოძრავმა მექანიზე[illegible]ამ კოლონამ 1978 წელს მშე[illegible]ობის გეგმა მხოლოდ 48,3 [illegible]ენტით შეასრულა, 1979 [illegible] — 78,8 პროცენტით, წლე[illegible]ელი 7 თვისა კი 81 პროცენ[illegible]. ასე რომ, დღეისათვის არ[illegible]ელ უზარმაზარი ჩამორჩენა [illegible] შოულოდნელია და არც სა[illegible]ელი.

პირველ სექტემბრამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა, მშენებლები კი კვლავ გულმშვიდად ზოზინობენ და სასწავლების მიქედით კვებავენ სასწავლებლის მუშაკებს.

128-ე სასწავლებელმა თავისი ისტორიის თავფურცელი შარშან გადაშალა. პირველი ნაკადის — 110 - მოსწავლისათვის საკლასო ოთახები მასწავლებელთა საცხოვრებელ სახლებში (ასეთი სახლი ორია, 16-ბინიანი. ორივე შარშან აიგო) მოაწყო, ანდაზისა არ იყოს — „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, წლეულს 210 მოსწავლე უნდა მიიღონ, ე. ი. კონტინგენტის რიცხვი 320 კაცს მიაღწევს, სად მოათავსოს სასწავლებელმა ამდენი ხალხი! იმ „საკლასო ოთახებში“ 110 კაცს ძლივს ატევნენ, სამ იმდენზე როგორღა გაჭიმონ?! მაგრამ დავუშვათ, ჯადო-თილისმა მოიშველია და პედაგოგიურმა კოლექტივმა შეძლო ეს (უნდა შეძლოს, სხვა რა გზა აქვს!), მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. საქმე ის არის, რომ სასწავლებელში უკვე შემოტანილია ყველა საჭირო მოწყობილობა და ინვენტარი — 11 კაბინეტის აღჭურვილობა, ჩარხები, ტრენაჟერები, სასადილოს დანადგარ-ჭურჭელი, ინვენტარი, ავეჯი, თეთრეული, წიგნები... და ეს ყველაფერი ამჟამად „საკლასო ოთახებში“ — მასწავლელთა საცხოვრებელ სახლებში აწყვია (ღია ცის ქვეშ ხომ არ დაყრიან ქარ-წვიმის სათარეშოდ). ამიტომ აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს სამუშაოები მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში, რათა იქ გადაიტანონ ინვენტარ-აღჭურვილობა — საწყობად ქცეული „საკლასო ოთახები“ გაათავისუფლონ და, რაც მთავარია, აღსახდელები უზრუნველყონ საძინებელი ადგილებით.

მაგრამ ამასაც რომ არ უჩანს სასიკეთო პირი! და სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი (დირექტორი რ. ბეჟანიშვილი) სრულიად გასაგები მიზეზების გამო სასოწარკვეთილებამდეა მისული: საფრთხე ექმნება ახალი კონტინგენტის მიღების. სახელმწიფო გეგმის შესრულებას, საფრთხე ექმნება სასწავლო წლის შეუფერხებლად დაწყებას. ოსტატ-პედაგოგთა მიერ მთელი წლის მანძილზე რუდუნებით გაწეული პროფორიენტაციული მუშაობა წყალში იყრება. მრავალ გოგონასა და ვაჟს (არა მხოლოდ თეთრი წყაროს რაიონიდან) სურს აქ სწავლის გაგრძელება, ამ საჭირო, მშენიერი სპეციალობის დაუფლება. მაგრამ უპირველესად ხომ „თვალი ჭამს და თვალი სვამს“ — ოღროჩოღრო, გუბეებით მოფენილი გზით სანანავრეოდ ამოყვანილ კედლებს რომ წაადგება თავზე, ბევრი ყმაწვილი და მისი შშობელი გუნებამოყამული ცივად ბრუნდება უკან.

ამ კომპლექსის მშენებლობის თაობაზე ბარე ორჯერ იმსჯელა თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომმა. მზადდება საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროზე განსახილველად, მაგრამ არც სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და, მით უმეტეს, არც მე-6 ტრესტს, არავითარი დამამიდებელი სიტყვა არ უთქვამთ. არავითარი საქმიანი ღონისძიება არ განუხორციელებიათ, არც იმ დეპეშებსა და ტელეფონოგრამებზე გაუცია პასუხი, სეტყვასავით რომ აყრის მათ ხავსს ჩაჭიდებული პედაგოგიური კოლექტივი.

ასე ზოზინში იწურება აგვისტო და ჰორიზონტზე თანდათან იკვეთება კონტურები სექტემბრისა, რომელიც აუცილებლად იკითხავს: რა მიზეზით შეფერხდა თეთრი წყაროს 128-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომპლექსის მშენებლობა, რატომ არ ჩადგა მწყობრში დათქმულ დროს, ვინ გაუუგებრია იქაურ მოსწავლეებსა და მათს ამშზრდელებს პირველი ზარის სიხარული? საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ მას საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და მისი მე-6 ტრესტი?

ალ. ასლანიშვილი,
გაზეთ „სახალხო განათლების“ განყოფილების გამგე.

ღესი, რიგი და ჩვენ

შტაბი სხდომა დაიწყო. ასეთი სხდომები კვირაში ერთხელ, სამშაბათობით იმართება. საკითხების წრე, რომლებსაც ახლა განიხილავდნენ, ფრიად მნიშვნელოვანი ყო. იგი მოიცავდა როგორც პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ, ასევე იმ აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებებს, რომლებზეც დამოკიდებულია დანაშაულის აღმოფხვრა.

ეს შტაბი საქალაქო პარტიული აქტივის შემდეგ, წლეულს, 3 მარტს შეიქმნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით. შტაბის შექმნა განაპირობა ქალაქში არსებულმა თრეფლმა ოპერატიულმა მდგომარეობამ. პარტიული აქტივის კრებამ ყოველმხრივ გააანალიზა მდგომარეობა და საჭიროდ იქნა მიჩნეული მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მასალები ქვეყნდება ძირეულ და საქალაქო პრესაში, გადაიცემა რადიოთი. ქალაქის ცენტრალურ ადგილებში მოწყობილია სტენდები, გამოდის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოველთვიური კედლის გაზეთი, „შანთი“, სახალხო რაზმელთა საქალაქო შტაბის პერიოდული ორგანო „აი, ვინ არცხვენს ჩვენ ქალაქს“. ასე რომ, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო შტაბმა მობილიზაცია უყო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საშუალებას.

მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს: ქუთაისში ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა არასრულწლოვანთა დანაშაულმა. დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემური ჯგუფის ინიციატივით მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის, საქალაქო შტაბი დაუკავშირდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს. ინსტიტუტმა გამოჰყო მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი, რომელიც შტაბთან ერთად სწავლობს ბოლო ათი წლის მანძილზე არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემას და მოამზადებს მეცნიერულად დასაბუთებულ გეგმას დანაშაულის ჩადენის საღამოდეგ ბრძოლის ყველა საშუალებას.

დანაშაული უკან იხევს

მართლწესრიგის განმტკიცებისათვის და სამართლის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ქუთაისის შტაბი მოქმედებს

ოპერატიულ მდგომარეობის გათვალისწინებით შტაბთან ჩამოყალიბდა სამი პრობლემური ჯგუფი: ქონებრივი დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის (ხელმძღვანელი, — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ხაზარაძე), არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის (ხელმძღვანელი — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. კაკაურიძე) და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ჯგუფი (ხელმძღვანელი — სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. აბზიანიძე).

კვირიდან კვირამდე პრობლემური ჯგუფები აწყობენ რეიდებს, ავლენენ დანაშაულს, მის გამომწვევ მიზეზებს, ორგანიზაციას უკეთებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. რეიდებში მონაწილეობენ სახალხო რაზმელები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. კვირის თავზე ჯგუფების ხელმძღვანელები შოახსენებენ შტაბს გაწეული მუშაობის შესახებ.

შტაბთან შექმნილია სარედაქციო კოლეგია, რომელშიც გაერთიანებული არიან პრესის მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, როგორც მონაწილეობით სამართალდარღვევათა შესახებ მასალები ქვეყნდება ძირეულ და საქალაქო პრესაში, გადაიცემა რადიოთი. ქალაქის ცენტრალურ ადგილებში მოწყობილია სტენდები, გამოდის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოველთვიური კედლის გაზეთი, „შანთი“, სახალხო რაზმელთა საქალაქო შტაბის პერიოდული ორგანო „აი, ვინ არცხვენს ჩვენ ქალაქს“. ასე რომ, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო შტაბმა მობილიზებულ გეგმას დანაშაულის ჩადენის საღამოდეგ ბრძოლის ყველა საშუალებას.

ასეთია მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო შტაბის მუშაობის შედეგები.

ახლა დავუბრუნდეთ შტაბის მორიგ სხდომას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შტაბი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. სწორედ ამ საკითხს — საწარმოდაწესებულებებში პასპორტიზაციის ბომდინარეობას მიეძღვნა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ლ. ფანნულიძის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ მიუხედავად გაწეხორციელებული ღონისძიებებისა, მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს საკმარისი მუშაობა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საწარმოებში, აგრეთვე ზოგიერთ სამშენებლო, სატრანსპორტო და ვაჭრობრეულობის დაცვის ორგანიზაციაში. 40 სამრეწველო საწარმოდან პირველი აგვისტოსათვის სათანადო პასპორტი მიღებული აქვს 10 საწარმოს 14 ობიექტს. სხდომაზე მკაცრად გაკიცხეს საკონსერვო ქარხანა, ამბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ავეჯის ფაბრიკისა და ზოგიერთი სხვა სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელები, რომლებიც უგულებელყოფენ მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ღონისძიებებს. მათ მითითება მიეცათ უმოკლეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

საინტერესო ინფორმაციებით სამართლის პასუხისგების გაძლიერების შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ მომდინარე წლის 7 თვეში საგრძნობლად შემცირდა სამართალდარღვევა.

ასეთია მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო შტაბის მუშაობის შედეგები.

ახლა დავუბრუნდეთ შტაბის მორიგ სხდომას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შტაბი თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. სწორედ ამ საკითხს — საწარმოდაწესებულებებში პასპორტიზაციის მომდინარეობას მიეძღვნა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ლ. ფანნულიძის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ მიუხედავად გაწეხორციელებული ღონისძიებებისა, მატერიალურ ფასეულობათა დაცვის საქმეში ჯერ კიდევ არ მიმდინარეობს საკმარისი მუშაობა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საწარმოებში, აგრეთვე ზოგიერთ სამშენებლო, სატრანსპორტო და ვაჭრობრეულობის დაცვის ორგანიზაციაში. 40 სამრეწველო საწარმოდან პირველი აგვისტოსათვის სათანადო პასპორტი მიღებული აქვს 10 საწარმოს 14 ობიექტს. სხდომაზე მკაცრად გაკიცხეს საკონსერვო ქარხანა, ამბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ავეჯის ფაბრიკისა და ზოგიერთი სხვა სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელები, რომლებიც უგულებელყოფენ მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ღონისძიებებს. მათ მითითება მიეცათ უმოკლეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი.

საინტერესო ინფორმაციებით წარსდგნენ [illegible]ების [illegible]ომის [illegible] [illegible]ინაში პრ[illegible]ების ხელმძღვანელები. [illegible]ალითად, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის პრობლემური ჯგუფის ინიციატივით ბოლო ერთ კვირაში მოეწყო სამი რეიდი, რომელშიც მონაწილეობდა 665 კაცი. გამოვლინდა ხუთი მუქთახორა, რომელთაგან შრომით საქმიანობაში ჩაება 3, სამედიცინო გამოსაფიზლებელში გაიგზავნა 46 კაცი, აღმოჩნდა საპასპორტო რეჟიმის 25 დარღვევა, ჩამორთმეულია, ერთი ცეცხლსასროლი და 7 ერთეული ცივი იარაღი, აღიკვეთა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის 98 შემთხვევა და ა. შ. რეიდის მონაწილეები გაესაუბრნენ 500 კაცს, 109 სასტიკად იქნა გაფრთხილებული და მათზე მეთვალყურეობა დაწესდა. შტაბის სხდომაზე მწვავე ხასიათი მიიღო ცალკეულ დანაშაულობათა ფაქტებმა. მაგალითად, წლების განმავლობაში არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას არ ეწეოდა ვინმე ვ. კავთიაშვილი. მან შექმნა ხელოსანთა ბრიგადა 9 წევრის შემადგენლობით და აწყობდა კერძო მობინადრეებთან გარიგებებს პარკეტის დასაგებად. კვადრატული მეტრი პარკეტის დაგებაში ისინი მშრომელებს 50 მანეთს ართმევდნენ.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამონტაჟო-საშენებლო სამმართველოს მძღოლ-ექსპედიტორი მ. გაბუნია რეიდის მონაწილეებმა მაშინ დაიჭირეს, როცა საწყობიდან გადაჰქონდა დატაცებული 1 ტონა ფურცლოვანი თუნუქი. ამ ფაქტებზე მიმდინარეობს ძიება.

შტაბის სხდომაზე მოისმინეს ლენინისა და ავტოპარკნის რაიონების არასრულწლოვანთა კომისიების თავმჯდომარეების ანგარიში, აგრეთვე კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ა. აბესაძის ინფორმაცია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა საქმეში ახალგაზრდობის მონაწილეობის გააქტიურებისა და კომკავშირული შტაბის მუშაობის შესახებ.

საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო შტაბის მოქმედებით დანაშაული უკან იხევს. ქუთაისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის ბრძოლა გრძელდება.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვანელი „კვაჭი“

ამჯერად ბედმა უმტყუნა

ერთი შეხედვით წუნს ვერ დასდებთ — ვაქკაცური გარეგნობის კაცია ოთარ გოგიბერიძე, მაგრამ რად გინდა? მარტო გარეგნობა საქმეს რომ ველოდეს... რაც თავს მოესწრო, სულ ეშმაკის ნაკვალევზე დადის, გამდიდრების წყურვილით არის შეპყრობილი. მისი ოჯახი ერთ-ერთი თითით საჩვენებელია ვანის რაიონში; დგას დიდებული სახლი დაბის ცენტრში, თავისი მდიდრული შემოგარენით.

რაკი სიტყვამ მოიტანა და საკუთრება ვახსენეთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მისი ბაღ-ბოსტნის მთელ მოსავალს მხოლოდ კერძო საკუთრების ბექედი აზის, სახელმწიფოსათვის ჯერ ერთი კილოგრამიც არ ჩაუბარებია, სამაგიეროდ კერძო ბაზრებს არ აკლებს ვანური მსხალს — გულამს. ვინ მოთვლის, რამდენი საკუთარი ავტომანქანა გაუცვეთია რესპუბლიკის შიგნით კი არა, რუსეთის სხვადასხვა ბაზრებზე ხეტიალით. თვითონაც არ მალავს და გაიძახის, ოქროს ფასი აღვეს ჩვენებურ მსხალს რუსეთის ქალაქებში და მე აქ კაბიკებად რატომ მივიდიო სახელმწიფოს.

ამ ბოლო დროს ოთარი ქალაქ ივანოვოს ბაზრებს შეეჩვია, აქაოდა, ვანურ გულამს კარგი მაზანდა აქვსო. მკითხველს გვინდა გავაცნოთ ერთ-ერთი სუფრათი ივანოვოს ოქტომბრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრიდან, სადაც ყველაზე მოხერხებულ დახლთან პარაპშობდა ო. გოგიბერიძე. ცოტა მოშორებით კი იდგა მისი მსხლით დატვირთული მანქანა გაზ-69, სახელმწიფო № 09-01-გაო.

— როგორ ყიდით მსხალს მოქალაქეო? მოკრძალებულად იკითხა ხელჩანთიანმა მუშტარმა, და ყვითელ გულას სასწორზე აწყობდა ისე, რომ პასუხსაც არ დალოდებია.

— 5 მანეთი!

— ასეთი ფასი პირველად მესმის, — მუშტარს ხელჩანთა კინაღამ გაუვარდა. ვიტყოდათ ქართველი ხართ, კარგი ვაჭკაცი ბრძანდებით, დამიკელით ცოტა, ავადმყოფისათვის მინდა, თანაც ხელმოკლე ვარ.

—როგორ, ხელმოკლე თუ ხართ, მერე ჩემგან ელოდებით გამდიდრებას? ხუთ მანეთად ვყიდი, არც მეტი და არც ნაკლები! ციკად უპასუხა ო. გოგიბერიძემ და სასწორზე დალაგებული მსხალი კვლავ დახლზე დააწყო.

— უნდა გრცხვენოდეს! მთელ ბაზარში ასე მამასისხლად არავინ ყიდის ხილს, შენ რა ცეცხლს უკიდებ ბაზარს. ქართველი კაცი მაინც არ იყო, — მყიდველს გამოექომაგნენ იქვე მდგომი დიასახლისები ნატალია ფეოდოროვნა და ევგენია ფეოდოროვნა, რომლებიც ის-ის იყო ო. გოგიბერიძის დახლს მიადგნენ მსხლის საყიდლად.

— როგორ? ქართველი რომ ვარ, ამიტომ უფასოდ ხომ არ მოგცემთ ამ გემრიელ მსახლს, — გაბრაზდა ოთარი, ხელი საქართველოსაკენ გამოიშვირა და დასძინა, — ცხრა მთას იქიდან მაქვს ჩამოტანილი, თანაც ეს დალოცვილი ხე გულას წელიწადში ერთხელ ისხამს. მოვრჩეთ ახლა ხელს ნუ მაშლით, მუშტარი ნუ დამიფრთხეთ!

— ამასობაში სად იყო და სად არა, ადგილზე გაჩნდა ივანოვოს ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკი, სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ნ. სმირნოვი და ოთარს საბუთები მოსთხოვა.

აქ კი დასცეცხლა ო. გოგიბერიძეს, ჯიბისკენ დააპირა ხელის წაღება, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ არავითარი საბუთი არ გააჩნდა. იქვე სათანადო აქტი შეადგინეს და 400 კილოგრამი გულაბი ოთარის თვლწინ სავაჭრო ფარდულს გადასცეს.

ეს ფაქტი გამონაკლისი რომ იყოს, შეიძლება აქ თავი შეგვიკავებინა, და აღარაფერი გვეთქვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის, ამიტომ სათქმელი უნდა ითქვას, თანაც პირუთვნელად... ო. გოგიბერიძის ოცნება მხოლოდ ფულია, თანაც — ბევრი ფული. ამისათვის იგი აშკარად თუ ფარულად არაფერს ერიდება, ამ ძალ-ღონით საესე კაცს ჯიბეში უდევს მეორე ჯგუფის ინვალიდობის მოწმობა, რომლის წყალობით საზოგადოებრივ შრომას გაურბის, საქვეყნოდ და საჯაროდ ხილით დატვირთული მანქანებით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დაჭრილ და ყველას აცნობს, თუ რა გემოსია ქართული მსხალი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში მან 5 მანქანა გამოიცვალა.

ბოლო დროს ოთარის ოცნება ახალი „ვოლგის“ შეძენა გახდა, დიახ, გაზ-24-სა, თანაც „შავი ფერისა“. შეუღამაზებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს კაცი პირდაპირ „კვაჭი კვაჭანტირაძის“ განმეორებაა.

როგორ გგონიათ, გაუუჭირდებოდა ვანელ „კვაჭს“ „შავი ვოლგის“ კვალის მიგნება? მოსკოვში ბევრი ამფსონი ჰყავს, საქართველოდან ფულის საშოვრად რომ არიან ჩასული და მთელ თავიანთ დროს სარფიანი საქმის ძებნაში ატარებენ, ორიოდე გროშისათვის ლაფში სვრიან რესპუბლიკის ღირსებას.

ჰოდა, „შავი ვოლგის“ მძიებელი ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში თავის ძმაბიჭებს მიადგა. გაიგეს თუ არა მეგობრებმა ოთარის გულის წადილი ჯარასავით დატრიალდნენ და საქმეც სწრაფად გაიჩარხა. იმავე დღეს ნაყიდობის საბუთები მაღაზიაში გააფორმეს და ფულიც პატრონს გადასცეს. ჩასხდნენ მანქანაში თუ არა ო. გოგიბერიძის ერთ-ერთი თანამოსაქმე ელვის სისწრაფით ეცა მანქანის ყოფილ პატრონს, ასაანებინა დასტა უბიდან წაგლეჯა, წიხლი ჰკრა, მანქანიდან გადმოაგდო და „ვოლგაც“ გააქროლა. გამოსცდნენ თუ არა, ქალაქს, შარაგზის ყაჩაღები მანქანიდან ჩამოვიდნენ, „შავი ვოლგა“ ვანელ „კვაჭს“ ჩააბარეს და გზა დაულოცეს.

მეორე თუ მესამე დღეს ოთარი შავი „ვოლგით“ შემოგრიალდა ვანის ცენტრში. ზოგს ეს დიდად არ გაკვირვებია. დაეჭვდნენ მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოები. ო. გოგიბერიძეს ახალი „ვოლგა“ ჩამოართვეს და მილიციის ეზოში დააყენეს. ამასობაში მოსკოვიდან რაიკომის პირველი მდივნის სახელზე წერილი მოვიდა, სადაც ვოლგის ყოფილი პატრონი ეკატერინე კოროლენკო იწერებოდა, რომ ჩამოსვლა სურს საქართველოში, კერძოდ, ვანის რაიონში, მაგრამ მეზობლები ურჩევდნენ, ნუ წახვალ, ჩასვლისთანავე ქართველი ყაჩაღები გაგაქრობენო.

ასე იყო თუ ისე, ამას წინათ ეკატერინე კოროლენკო თანმხლები პირებით საქართველოში ჩამოვიდა, კოპიტნარის აეროდრომზე მას რაიონის ხელმძღვანელი მოუგებია დახვედნენ. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი დიდი სიყვარულით და გულთბილობად მიიღეს.

საინტერესო იყო მანქანის პატრონთან ოთარ გოგიბერიძის შეხვედრა, რომელიც მილიციის განყოფილებაში მოხდა.

— თარჯიმანი მომიყვანეთ, მე ხომ რუსული არ ვიცი, — უტიფრად განაცხადა ო. გოგიბერიძემ.

— ეს რა მესმის — გაოცდა ეკატერინე მიხეილის ასული, — განა თქვენ რუსული არ იცით? თქვენ ხომ ჩემს ოჯახში ყოველთვის ლა რუსულად მელაპარაკებოდით, ახლა რამ დაგავიწყათ?

გზაკვალაბნეულმა ოთარმა ყველაფერი მოსკოველ ძმაბიჭებს გადააბრალა და პირობა დადო, რომ სულ მალე ეპოვიდა მათ და უკანვე დაუბრუნებდა წანაგლეჯ თანხას.

მას შემდეგ ორი თვე გავიდა. ახლა ო. გოგიბერიძე თავის მხსნელ ანგელოზებს დაეძებს, რომ ამ წუმპიდან მშრალად გამოვიდეს.

აი, რას გკითხულობთ ამ დღეებში მოსკოვიდან ეკატერინე მიხეილის ასულის მიერ პარტიის ვანის რაიკომის მდივნის სახელზე გამოგზავნილ წერილში:

„ო. გოგიბერიძე დაეინებით მთავაზობს ავტომანქანასთან დაკავშირებული საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტას, ვანში ჩემი ყოფნის დროს მისმა მთავაზობს ავტომანქანასთან დაკავშირებული საკითხების მშვიდობიანად გადაწყვეტას, ვანში ჩემი ყოფნის დროს მისმა [illegible] [illegible]ებ[illegible] [illegible]ებ[illegible] ხელმძღვანელები. [illegible]ალითად, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის პრობლემური ჯგუფის ინიციატივით ბოლო ერთ კვირაში მოეწყო სამი რეიდი, რომელშიც მონაწილეობდა 665 კაცი. გამოვლინდა ხუთი მუქთახორა, რომელთაგან შრომით საქმიანობაში ჩ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

„ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ—80“

ᲓᲦᲔᲡ, 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ „ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲐ-80“. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ 20-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲮᲝᲑᲝᲜ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

საბჭოთა მედიკოსები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეოხებით მოწინავე მიჯნებს აღწევენ მრავალ დარგში. ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას მსოფლიოს მედიკოსთა თითქმის მესამედი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სამამულო ჯანმრთელობის დაცვის განვითარება, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ხასიათდება პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების აქტიური დანერგვით.

ბევრ ამ მიღწევას განსაზღვრავს ის, რომ ჯანმრთელობის დაცვის ყველა დარგში ენერგიულად იჭრება ახალი სამედიცინო ტექნიკა. „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ სხვა დიდ ამოცანებთან ერთად დასახა თანამედროვე ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების შექმნისა და სერიულ წარმოებაში დანერგვის ფართო პროგრამა. გამოფენა „ჯანდაცვა-80“ ასახავს ამ უახლეს მიღწევებს. საკმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირში სამედიცინო ტექნიკის განვითარებისათვის უდიდეს მუშაობაში მონაწილეობს ქვეყნის თითქმის 30 სამინისტროს და უწყების ასობით საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საკონსტრუქტორო ბიურო და ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, უკვე დაიწყო და წარმატებით ვითარდება ექიმებისა და ინჟინრების მჭიდრო თანამეგობრობა.

სახელი გაითქვა, მაგალითად, სამედიცინო რადიოელექტრონიკამ. მისი განმასხვავებელი ნიშანია ინტეგრანული მიკროსქემების, მიკროპროცესორების გამოყენება. წარმატებით ვითარდება ხელსაწყოთმშენებლობის მთელი მიმართულება — დიაგნოსტიკური „მეთვალყურე“ და მარეგულირებელი ავტომატების, მონიტორების შექმნა.

მთელ რიგ რესპუბლიკებში მუშაობს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ავტომატიზებული სისტემები. პრაქტიკის ხანგრძლივ გამოცდას გაუძლო „ავშრომგამოულობის სადენებითა და რადიოარხებით ფიზიოლოგიური და სხვა სამედიცინო ინფორმაციის გადაცემის ტექნიკურმა საშუალებებმა. მაგალითად, აპარატურების „ეიოლნისა“ და „ავშირის“ საფუძველზე სარატოვისა და ვოლგოგრადის ოლქებში ჩამოყალიბდა დისტანციური კარდიოლოგიური კონსულტაციები, რომელთა დახმარებით შეიძლება სწორი დიაგნოზის სწრაფად დასმა და სამედიცინო ცენტრებიდან მოშორებით მყოფი ავადმყოფებისათვის საჭირო მკურნალობის დანიშნა.

დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანოების ფუნქციების შესრულებელი მოწყობილობის შექმნას. შეგახსენებთ, რომ ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატებიან სამშობლო საბჭოთა კავშირია. ამ უძვირფასესი მეთოდის გამოყენებით შეიძლება ღია გულის ოპერაცია. მის ავტორს ს. ბრიუხანენკოს 1965 წელს მიენიჭა ლენინური პრემია.

დღეს საბჭოთა ქირურგების განკარგულებაშია ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატების მთელი რიგი მოდელები.

თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილია კრიოგენული აპარატურა. ავტომატიზებული კრიოგენული აპარატების მთელი სერია შექმნა ემყარება ღრმა თეორიულ გამოკვლევებს.

ვითარდება რენტგენოხელსაწყოთმშენებლობა. მოწესრიგდა მკვეთრი გამოსახულების გამაძლიერებლის სერიული წარმოება. სპეციალისტები ცდილობენ გააუმჯობესონ ამ აპარატურის ხარისხი.

ინერგება კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მდგომარეობისა და ეფექტიანობის კონტროლის თანამედროვე აპარატურა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტების გამოკვლევების მეოხებით შეიქმნა ავადმყოფის ორგანიზმში ჩასანერგი სხვადასხვა ტიპის ელექტროკარდიოსტიმულატორების სერია, მათ შორის კვების რადიოიზოტოპურწყაროებიანი ელექტრონული კარდიოსტიმულატორების სერია. გულის საბჭოთა ხელოვნურმა სარქვლებმა უკვე მრავალ ათას ავადმყოფს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის გამოცდილება და პერსპექტივები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. წლითიწლობით ფართოვდება სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობა. განსაკუთრებით ნაყოფიერია თანამეგობრობა სოციალისტურ ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

ამ მუშაობაში მონაწილეობს 50 სამრეწველო უწყების ხუთასამდე საწარმო. საკორდინაციო ცენტრმა მარტო მიმდინარე ხუთწლიდის განმავლობაში გამოსცა რვაასზე მეტი ახალი ხელსაწყოაპარატი და ინსტრუმენტი. ამ ნაყოფიერი თანამეგობრობის ნიმუშების ნახვა შეიძლება ექსპოზიციაში „ჯანდაცვა—80“.

მწამს, თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ვ. ვ. პეტროვსკიმ, რომ მომავალი გამოფენა მძლავრ იმპულსს მიანიჭებს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის დარგის საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტების საქმიანი კონტაქტების, ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას. იგი გააუმჯობესებს ურთიერთხელსაყრელ საგარეო-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობას, განამტკიცებს მის საქმიან მხარეს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ პირობებში, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა მშვიდობის განმტკიცებისათვის იღვწის.

ᲒᲣᲜᲔᲑᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲫᲐᲠᲘ!

ᲕᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲕ?

ᲐᲜᲣ ᲣᲧᲕᲘᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲡ

ᲔᲠᲗ სასიამოვნო კრებულს გავეცანი. მასში თავმოყრილია თბილისელ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ლიტერატურული წრის წევრების პოეტური ნაწარმოებები. სახელიც პოეტური შეურჩევიათ — „ბილიკი ცისკენ“.

კრებული, უწინარეს ყოვლისა, სასიამოვნოა იმით, რომ გვთავაზობს მუშაკაცის ალალ, ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ სტრიქონებს, მშვენიერ მხატვრულ მიგნებებს, ერთ მთლიან ლექსთა კონას, რომელიც ავტორებს სათუთად შეუკრავთ, მზის შუქზე გამოუტანიათ, ანუ მკითხველთა სამსჯავროსთვის მოკრძალებით მიურთმევიათ.

სასიამოვნოა ისიც, რომ ამ პასუხსაგებ საქმეში ახალგაზრდებს დიდად დახმარებია რესპუბლიკის გამსახკომი და გამომცემლობა „მერანი“. სწორედ მათ იკისრეს კრებულის გამოცემა, რომ ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, როშელებისთვისაც ქართულ სიტყვასთან ჭიდილი სასხვათაშორისო საქმეა არის, მეტი სტიმული მისცემოდათ შემდგომი მუშაობისათვის.

კრებულში ოცი ავტორია. ზოგ მათგანს ხშირად ბეჭდავენ კიდეც რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები („ცისკარი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და სხვ.). ამ ახალგაზრდების პოეტურ სიტყვას, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ აკლია პროფესიონალიზმი, ემოციური დატვირთვა, ფორმის ორიგინალობა, მაგრამ უდაოდ თვალში საცემია საკუთარ განცდათა უშუალოდ გადმოცემის, სურვილი, თქმის მრავალფეროვნება. აქ მშობლიური სოფლის სანახებიც გაიელვებს და დიდი ქალაქის მძლავრ მაჯისცემასაც მოისმენთ; დღევანდელობის ამსახველ ნაზ ლირიკას სახელოვან წინაპართა ჰირდილებისადმი მიძღვნილი ვაჟკაცური სტრიქონები ენაცვლება. აბა, მოვუსმინოთ ოთარ წურწუმიას:

„ერთი კარგი სალღეგრძელო
დამამახსოვრდა:
„როგორც ვენახში
მევენახე გაიგის ხოლმე,
საქართველოში ისე გაგევლოს!“

ლევან ბაბუხადიას ლექსს „გაზაფხული“ ჰქვია. აი, ისიც:

„გაზაფხულია! ზეცას სწვდება
სიმწვანის ალი.
გაზაფხულია ცალს ხმამაღლა
ეძახის ცალი.
მე კი, მე მხოლოდ
ჩავფრენილვარ სიშორეს
თვალით...
მე შენს წინაშეც, ჩემს წინაშეც
მიმძღვნის ბრალი“.

ეს სტრიქონები კი ანზორ ხიაშვილს ეკუთვნის:

„ნაწვიმარ მოლეთით ვიზრდები,
როცა მზე ფაჩუნობს
კვირტებად...
საშობლოს ხანდახან ვეპრიდები,
საშობლო ყოველთვის
შეირდება!“

და ასე, კიდევ რამდენი კარგი სტრიქონი შეიძლება ამოკრიფოს კაცმა ამ კრებულიდან, უმეფაროდ, გაურანდავიც იპოვოს. მერე რა! მთავარია, რომ ვინც აქ წარმოდგენილ ავტორებს გაეცნობა და მათ ალალი გულისთქმას შეგრძნობს, არა მგონია უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნოს, ანდა, ლიტერატურული წრეების კრებულების გამოცემაცა გვაკლდაო!

პირიქით, რამდენი მაგალითი ვიცით, რომ სწორედ ლიტერატურულ გაერთიანებებში გამოჩენილა არაერთი ნიჭიერი პოეტი თუ პროზაიკოსი.

და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ზემდგომი ორგანოების, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის მხარდაჭერით, ამგვარი კრებულები, თუმცა მცირე ტირაჟით, მაგრამ მაინც გამოდის. ყოველი ასეთი მოვლენა კი, ცხადია, უფრო ცხოველმყოფელს ხდის ლიტერატურული გაერთიანებების მუშაობას, რომლებიც საქართველოს, ყველა ქალაქსა და რაიონში არის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და, უდავოდ, საჭირო საქმეს აკეთებენ. მარტო ის რად ღირს, რომ ახალგაზრდას კარგისა და უღიმღამო ნაწარმოების გარჩევის უნარი ჩაუნერგო, გემოვნება განუვითარო.

ზოგმა ერთი-ორი ლექსი თუ „მოაცოდვილა“, თავი უკვე პოეტი ჰგონია და აკლებული აქვს ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. და რომ იცოდეთ, რა სამადლოს გაკეთებდით, მეგობრებო, ლიტერატურული წრეებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებო, თუ დაარწმუნებთ ასეთ ახალგაზრდას, რომ „იმღერს ლექსთა საბრალოთა“, და უმჯობესია ახლავე სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

რედაქციებში ხშირად მოდიან პოეზიის მოყვარულნი, ფოსტიითაც გზავნიან თავიანთ ნაწერებს, კვლავაც ასე უნდა იყოს, მაგრამ იქნებ ამ ნაბიჯის გადადგმამდე ღირდეს ჩარევა, დარიგება, დაკვალიანება, თქმა იმისა, რომ უმრავლესობა ამაოდ ჰშვრება...

არადა, მარტო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ყოველდღე ორმოცდაათამდე ლექსი მაინც შემოდის (წარმოიდგინეთ, რა დღეშია ლიტერატურული ორგანოები). ზოგს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ვერ ჩაუბარებია და ჯავრიან ბუნებას დამეგობრებია მუზას, ზოგი უბრალოდ, უსაფუძვლოდ გვედავება—ყველას ბეჭდავთ და მე რა დავაშავეო და ა. შ.

ყველას? ნურას უკაცრავად — საამისოდ არც დრო აქვს და არც საშუალება რესპუბლიკის უპირველეს გაზეთს, მაგრამ, დაგვერწმუნეთ, ნაღდ პოეზიას უგულისყურედ არც ერთი რედაქცია არ შეხვდება.

ისე, ლექსის წერას ვის დაუშლი, როგორც სულმნათი აკაკი იტყოდა:

ვინ არა წერს ჩვენში ლექსებს,
ვის არ უნდა მოლექსობა,
მაგრამ ლექსი რა ლექსია,
თუ რომ გულს არ დაეხობა?

მართლაც, აბა, რა მოვუნერხოთ ასეთი სტრიქონების ავტორებს:

ოკეანის ბაღმა იქით,
ხალხს მზის ხედვას
უკრძალავენ,
ხალხის ასეთ სულით ტანჯვას,
მალე როდის აკრძალავენ.

გვარების დასახელება ამჯერად არაფერს მოგვცემს...

ზოგიერთი მაინც განსაკუთრებით ჭირვეულობს. ერთ-ორმა ზემდგომ ორგანოებშიც კი გვიჩივლა, ყურადღება არ მომაქცია გაზეთმა „კომუნისტმაო“.

ნუ იფიქრებთ, ნიჭი და უნარი ვინმეს დაუკარგონ. ამ, მოცლილობის ჟამს, სხვათა შორის სტრიქონების გარითმვა კი, მოგეხსენებათ, ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ პოეზიისაგან შორს დგას. გახსოვთ? დიდი ილია გვასწავლის: „პოეზია მაღლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა კაცთა ღვთივ რჩეულთა, მაღლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის... ამ მაღლს, ამ ტვირთს დიდი ძალონი უნდა სულისა, ხორცისა“...

...ყველაფერი დიმიტროვის სახელობის, საავიაციო ქარხნის ლიტერატურული წრის კრებულმა დამაწერინა, ამ წრის, მისი ხელმძღვანელის, შესანიშნავი ლიტერატორის თენგიზ ხუციშვილის კეთილმა საქმიანობამ მთქმევინა. დარწმუნებული ვარ იქაურმა ახალგაზრდებმა იციან ქართული სიტყვის ფასი, საკუთარი პრინციპები, მისწრაფებები აქვთ და ძირითადი საქმიანობა სულაც არ უშლით ხელს პოეზიასთან იყვნენ წოწინაყარი, ხოლო უმშვენიერესი ქალღმერთი მუზა სწორედ ასეთებს მფარველობს.

Თ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონული ცენტრიდან 25 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 950 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ერთ-ერთი პოპულარული კურორტი საირმე.

კურორტს სახელი გაუთქვა ქვეყანაში ცნობილმა მინერალურმა წყაროებმა, რომლებსაც ექიმები წარმატებით იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და თირკმელების დაავადებათა სამკურნალოდ.

ბოლო ხანს საირმეში მწყობრში ჩადგა ახალი ჯანმრთელობის კერები, რომლებმაც მიიღეს დამსვენებლები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. მკურნალობისათვის კარგი პირობები დამთის ჰაერი სამკურნალო მინერალურ წყალთან ერთად შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

● ●

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: კურორტ საირმის ერთ-ერთი კუთხის ხედი.

გ. ᲒᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲭᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲝᲠᲘ „ᲤᲐᲖᲘᲡᲘ“

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, — ᲐᲘ, ᲔᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ (ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲒᲔᲑᲜᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲦᲔᲨᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ). ᲖᲝᲒᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲬᲝᲑᲐᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲠᲘᲐᲜ ᲒᲣᲚᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ... ᲐᲛ ᲛᲐᲦᲚᲡ, ᲐᲛ ᲢᲕᲘᲠᲗᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲫᲐᲚᲝᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲐ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ“...

...ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲗ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲠᲘᲝᲜᲘ... ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ.

ᲒᲣᲜᲔᲑᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲫᲐᲠᲘ!

ᲙᲣᲠᲗᲐᲮᲘ

ᲗᲐᲡᲚᲘᲡ ᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲜᲔᲑᲜᲔ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ კვირა დღეს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა ფეხბურთში თელავის „კახეთსა“ და ვანის „სულორს“ შორის. პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო კარის აღება. შესვენების შემდეგ კი ვანელებმა იმარჯვეს. მათ ორი ბურთი გაიტანეს (ხარაბაძემ და მეფარიშვილმა), გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და თასს დაეუფლნენ. ახლა ვანის „სულორი“ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის საკავშირო თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

— თამაში საინტერესო და დაძაბული გამოდგა, — თქვა ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ,—წარმატება წილად ხვდა გუნდს, რომელმაც შეძლო გამოვლინა ოსტატობა და გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა. სულითა და გულით ვულოცავ გუნდსა და მის მწვრთნელს ანზორ გრძელიძეს დამსახურებულ გამარჯვებას.

წარმოგიდგენთ 1980 წლის საქართველოს თასის მფლობელ გუნდს: გ. კიკალეიშვილი, თ. ძაგნიძე, ო. გედგერიძე, ვ. ტრაპაიძე, რ. ცუცქირიძე, გ. მეფარიშვილი, შ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვერულაშვილი, თ. სულაბერიძე, ბ. ხარაბაძე, რ. სანიკიძე, გ. ვერულაშვილი, დ. ორმოცაძე და გ. გიორგაძე.

✦✦

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის ოცდამეორე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს გუნდების შეხვედრათა შედეგები ასეთია: სამტრედიის „ლოკომოტივი“-რუსთავის „მეტალურგი“ — 1:0, კიროვაბადის „პროგრესი“-გორის „დილა“ — 6:3, ფოთის „კოლხეთი“-ზუგდიდის „დინამო“ — 5:0, ბათუმის „დინამო“-სოხუმის „დინამო“ — 2:1.

ოცდამეორე ტურის შემდეგ გათამაშებას 32 ქულით ლიდერობს სამტრედიის „ლოკომოტივი“.

✦✦

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები. გათამაშდა მეთერთმეტე ტურის პარტიები. ამ ასპარეზობის მონაწილე საქართველოს სპორტსმენების შედეგები ასეთია:

დნეპროპეტროვსკი. სტურუამ თავისი შეხვედრა გადასდო. კვლავ ლიდერობს ვასიუკოვი, რომელსაც 10 შესაძლებლიდან 7,5 ქულა აქვს.

კრასნოდარი. უბილავამ დამარცხა ცეშკოვსკი. ჯერჯერობით ყველაზე მეტი ქულა აქვს (7,5 ქულა 11 შესაძლებლიდან) ლუტიანს.

კრასნოიარსკი. თბილისელმა გუფელდმა პოლოვოდინთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ფსახისს 7 ქულა აქვს 10 შესაძლებლიდან, დორფმანსაც და კუზმინსაც 7-7, მაგრამ 11-11 შესაძლებლიდან.

ტალინი. მაია ჩიბურდანიძემ თავისი პარტია გადასდო. ახლა მას და ჩეხოვს 6,5-6,5 ქულა აქვთ 10-10 შესაძლებლიდან.

მეხიკოში გრძელდება ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა თავის ქვეჯგუფში ბოლო შეხვედრის ყველა პარტია მოიგო უელსის გუნდს და ფინალში გავიდა. ფინალში გავიდნენ აგრეთვე ინგლისის, შვეიცარიის, კუბის, არგენტინის, ბრაზილიის, ამერიკის შეერთებული შტატების, დომინგოს რესპუბლიკის, კოლუმბიისა და სხვა ქვეყნების გუნდები.

დორტმუნდში (გფრ) მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატში ერთპირონგულად ლიდერობს ბაკოელი ვარი კასპაროვი. მან რვა შეხვედრიდან იქმესი მოიგო, ორიც ყაიმით დაამთავრა და ქულანახევრით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. შეჯიბრება მიმდინარეობს შვეიცარიული სისტემით.

პოლონეთის ქალაქ პოლიანიცაში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში პირველობა დაიკავა ლვოველმა დიდოსტატმა ოლგა რომანიშინამ. მან 13 შესაძლებლიდან 10 ქულა დააგროვა და 2,5 ქულით აჯობა მეორემეოთხე ადგილებზე გამოსულ ლუბენ სპასოვს (ბულგარეთი), ლასლო ბარეაის (უნგრეთი) და ეჟი პოკოევჩიკს (პოლონეთი).

იტალიის ქალაქ აბანო-ტერმეში მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში გაიმარჯვა პიუბნერმა.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲔᲚᲘᲚ კვირა დღეს თბილისში დაიწყო საკავშირო თასების გათამაშება წყალტრომაში. ასპარეზობა მოდინარეობს ალექსანდრეს ლენინური კომკავშირის სახელობის წყალჯოგირდიბის კოლექტივში.

ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ სსრ კავშირის უძლიერესი წყალმტრაკელები და მაინც, იგი დიდ ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი იმან განაპირობა, რომ მასში ახალგაზრდა და ნიჭიერი სპორტსმენები ცდიან ძალებს. ერთი სიტყვით, ამ ჟამად ის წყალმტრაკელები ასპარეზობენ, რომელთაც მომავალში ამჯერად აღიარებული უნდა შეცვალონ.

ასპარეზობაში ჩაბმულ სპორტსმენთა შორის პირველობისათვის იბრძვის სპორტასზოგადოება „განთიადის“ წევრი, თბილისელი სერგო ალიხანიშვილი. აღსანიშნავია, რომ იგი საკავშირო თასის ორგზის მფლობელია.

შეჯიბრების ფორმულა ასეთია: მის პირველ ტურში პირველობის ყველა მაძიებელი ასპარეზობს, მეორე ტურში — მათგან რვა საუკეთესო, ხოლო მესამეში — ოთხი უძლიერესი.

გუშინ გამოვლინდნენ თასის მფლობელები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ქალთა შორის თასს დაეუფლა ლენინგრადელი ლ. კარზოვა — 470,25 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ლვოველი ტ. ვოლინკინა (408,33) და თბილისის განთიადელი ლ. გასპაროვა (390,34). ვაჟთა შორის თასი მოიპოვა ეფაქიოელმა ი. კოშმანმა — 580,52 ქულა. მეორე ადგილი წილად ხვდა კიეველ ი. იპკოს (541,50), ხოლო მესამე — ალმა-ათელ ა. ფილიჩკოს (522,42). მეოთხე ადგილზე გამოვიდა თბილისელი ა. გალსტიანი („განთიადი“) — 500,79 ქულა.

დღეს გამოვლინდებიან თასების მფლობელები კომკიდან ხტომაში.

✦✦

ᲤᲘᲜᲘᲨᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ

ᲣᲐᲚᲚᲘᲜᲘ ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ეტაპის პირველი ნახევარი დამთავრდა და ახლა გთავაზობთ ამ ეტაპის დასკვნითი ორი ტურის შეხვედრების შედეგებს: თბილისის „ლოკომოტივი“-მოსკოვის „ფილი“ — 10:6, კიევის „ავიატორი“-მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 7:12, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი-მოსკოვის „სლავა“ — 10:15, მოსკოვის „ლოკომოტივი“-სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი — 3:9, „სლავა“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 12:0, „ფილი“-„ავიატორი“ — 3:0.

ლიდერობს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი. პირველობას მას შეიძლება შეეცილოს „სლავა“, ხოლო პრიზიორთა სამეულში მოხვედრის ერთგვარი შანსები გაუჩნდათ „ფილის“ და თბილისის „ლოკომოტივს“.

გუნდები კიდევ ორი ტურის მატჩებს გამართავენ. ამის შემდეგ მოეწყობა შესვენება და ამ პერიოდში ქალაქ ეიტომირში მოეწყობა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე (13-21 სექტემბერს).

✦✦

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘ